

შიდა მობილობის წინაპირობები და კრიტერიუმები (2019 შემოდგომა)

I. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა წინაპირობები/კრიტერიუმები

1. გასაუბრება

კრიტერიუმები:

ა) აკადემიური მოსწრება (60ქულა)

- ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები - 20 ქულა
სადაც 20 ქულა - თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მიმდინარე სასწავლო წლის საუკეთესო ქულაა;
- აკადემიური მოსწრება - 40 ქულა
სადაც 40 ქულა იწერება, როცა ყველა გავლილ ან მიმდინარე საგანში კანდიდატს აქვს მიღებული მაქსიმალური შეფასება.

ბ) გასაუბრება/მოტივაცია (40ქულა)

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 70 ქულა.

II. მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამა წინაპირობები/კრიტერიუმები

1. მინიმალური GPA 2.5

2. გასაუბრება

კრიტერიუმები:

ა) კრიტიკული მსჯელობა - 50 ქულა

ბ) მოტივაცია/ინტერესი - 50 ქულა

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 70 ქულა.

III. კომპიუტერული მეცნიერებების და მათემატიკის სკოლა, კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა წინაპირობები/კრიტერიუმები

1. პროგრამირების აბსტრაქციების ცოდნა - 70 ქულა

(პროგრამირების აბსტრაქციების ცოდნა შემოწმდება ზეპირი ან/და წერიტი გამოკითხვის მეშვეობით. გამოკითხვაში შეიძლება შევიდეს ნებისმიერი საკითხი, რომელიც გათვალისწინებულია „პროგრამირების აბსტრაქციების“-ს სილაბუსით);

2. მოტივაცია - 10 ქულა (დგინდება სამოტივაციო წერილის საფუძველზე);

3. აკადემიური მოსწრება - 20 ქულა (დგინდება ნიშნების ფურცლის საფუძველზე)

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 81 ქულა

IV. კომპიუტერული მეცნიერებების და მათემატიკის სკოლა კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. ტესტი მათემატიკაში - 70 ქულა.
ლოგიკური ტიპის ამოცანები, რომელიც არ მოითხოვს უმაღლესი მათემატიკის ცოდნა;

გასაუბრების ეტაპზე მოსახვედრათ საჭიროა ტესტში მინიმუმ 25 ქულის დაგროვება

2. გასაუბრება -30 ქულა.

კრიტერიუმები:

- ა) მოტივაცია - 10 ქულა (დგინდება სამოტივაციო წერილის საფუძველზე);
- ბ) აკადემიური მოსწრება - 20 ქულა (დგინდება ნიშნების ფურცლის საფუძველზე).

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 81 ქულა

V. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. აკადემიური მოსწრება - 15 ქულა

2. გასაუბრება - 85 ქულა

კრიტერიუმები:

- ა) მოტივაცია - 35 ქულა
- ბ) მსჯელობის და ანალიზის უნარი - 50 ქულა

გასაუბრების წარმატებით გავლისთვის კანდიდატმა უნდა მიიღოს მინიმუმ 68 ქულა

3. გამოცდა უცხო ენაში (სურვილის შემთხვევაში კანდიდატი აბარებს შესასწავლი ენის შესაბამისი დონის გამოცდას)

კრიტერიუმი:

- ა) წერითი გამოცდა - 70 ქულა (ტესტი)
- ბ) ზეპირი გამოცდა - 30 ქულა

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა მიიღოს მინიმუმ 80 ქულა

VI. სამართლის საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. წერითი ანალიტიკური ნაშრომი (40 ქულა)

კრიტერიუმები:

- ა) პრობლემის კრიტიკული ანალიზი (20 ქულა)
- ბ) პრობლემის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა (20 ქულა)

გასაუბრებაზე დაბარება ხდება თუკი წერით ნაშრომში კანდიდატი მიიღებს 24 ქულას ან მეტს.

2. გასაუბრება (60 ქულა),

კრიტერიუმები:

- ა) პროფესიისადმი ინტერესი (18 ქულა)
- ბ) კრიტიკული აზროვნების უნარი (24 ქულა)
- გ) თანმიმდევრულად მსჯელობის უნარი (18 ქულა)

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში მინიმუმ 70 ქულა.

VII. ფიზიკის სკოლა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. ტესტი მათემატიკაში

ლოგიკური ტიპის ამოცანები, რომელიც არ მოითხოვს უმაღლესი მათემატიკის ცოდნას. ტესტი მათემატიკაში შედგება 5-7 კითხვისგან. გასაუბრების ეტაპზე მოსახვედრად საკმარისია 50 ქულის დაგროვება

2. მინიმალური GPA 2.5

3. გასაუბრება

კრიტერიუმები:

- ა) მოტივაცია - 30 ქულა
- ბ) აკადემიური მოსწრება (დგინდება ნიშნების ფურცლის საფუძველზე) – 70ქულა

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 80 ქულა

VIII. ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურის და დიზაინის სკოლა,

ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. ნამუშევრების პორტფოლიო. უნდა იყოს წარმოდგენილი სულ მცირე 7 ნამუშევარი.

შეფასებია კრიტერიუმები:

- იდეური და ფორმალური ორიგინალობა - 30 ქულა
- ნამუშევრის შესრულების ტექნიკური უნარები - 30 ქულა
- საკუთარი შემოქმედების პრეზენტაციის უნარი - 40 ქულა

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში მინიმუმ 70 ქულა.

**IX. ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურის და დიზაინის სკოლა,
არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა**

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. ტესტირება - 60 ქულა
2. ნამუშევრების პორტფოლიო. უნდა იყოს წარმოდგენილი სულ მცირე 5 ნამუშევარი.

შეფასებია კრიტერიუმები:

- ინოვაციურობა და ტექნიკური შესრულების უნარი - 10 ქულა
- ზოგადი სივრცითი აზროვნება, სამგანზომილებიანი მოცულობის აღქმა, კომპოზიციის პერსპექტივის და შუქ-ჩრდილების საბაზო პრინციპების ფლობა - 20 ქულა
- გადმოცემის უნარი, მოტივაცია, იდეების ვერბალური კომუნიკაციის უნარი - 10 ქულა

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში მინიმუმ 70 ქულა.